საჯარო სამართლის იურიდიული პირი ლ. საყვარელიძის სახელობის

დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრი

National center for Disease Control & Public Health

KA030687946433822

საქართველო, ქ. თბილისი, 0198, კახეთის გზატკეცილი N99; ტელ: (+995 32) 2192595; ცხელი ხაზი: 116001
Kakheti Highway N99, 0198, Tbilisi, Georgia; Tel: (995-32) 2192595; Hot line: 116001; E-mail: ncdc@ncdc.ge

#06/1925 **06 / მაისი / 2022 წ.**

საქართველოს ოკუპირებული
ტერიტორიებიდან
დევნილთა, შრომი ს, ჯანმრთელობისა და
სოციალური დაცვის მინისტრის პირველ
მოადგილეს
ქალბატონ თამარ გაბუნიას

ქალბატონო თამარ,

სსიპ - ლ. საყვარელიძის სახელობის დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნულმა ცენტრმა (შემდგომში - ცენტრი) განიხილა საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროდან 2022 წლის 18 მარტს გადმოგზავნილი ქ. ბათუმში, ფიროსმანის ქუჩა #14-ში და შ. ხიმშიაშვილის ქუჩა #7 ბ-ში არსებული მიწის ნაკვეთის საამშენებლოდ განვითარების მიზნით განაშენიანების დეტალური გეგმის კონცეფციის პროექტი, რაზედაც წარმოგიდგენთ ჩვენს შენიშვნებსა და მოსაზრებებს:

1. **„საქართველოს კურორტებისა და საკურორტო ადგილების ნუსხის შესახებ“** საქართველოს პრეზიდენტის 2005 წლის 22ივლისის № 655 ბრძანებულების შესაბამისად, ქ. ბათუმი წარმოადგენს კლიმატური ტიპის საკურორტო ადგილს პროფილაქტიკური და კარდიოლოგიური პროფილით. საკურორტო ადგილების განაშენიანების კომპლექსური გეგმის პროცესში, ძალზედ მნიშვნელოვანია ბუნებრივი სამკურნალო ფაქტორების დაცვა. შესაბამისად, „ტურიზმისა და კურორტის შესახებ“ საქართველოს კანონის, ასევე „კურორტებისა და საკურორტო ადგილების სანიტარიული დაცვის ზონების შესახებ“ საქართველოს კანონის (მუხლი 4. სანიტარიული დაცვის ზონების ზოგადი წესები, პირველი პუნქტი) შესაბამისად, საქართველოს კურორტებისა და საკურორტო ადგილებისათვის დგინდება სანიტარიული დაცვის ზონები (სდზ), სადაც აკრძალულია სამუშაოები, რომლებიც აბინძურებს ნიადაგს, წყალს, ჰაერს, ზიანს აყენებს ტყეებსა და სხვა მწვანე ნარგავებს, იწვევს ეროზიულ პროცესებს, უარყოფითად მოქმედებს ბუნებრივ სამკურნალო რესურსებზე და კურორტებისა და საკურორტო ადგილების სანიტარიულ მდგომარეობაზე. საკურორტო ადგილის არასწორი განვითარების საფრთხის თავიდან აცილების, კურორტის ფუნქციონალურად დაგეგმვის, განვითარებისა და პოპულარიზაციის მიზნით, მნიშვნელოვანია ქალაქთმშენებლობით დოკუმენტაციასთან ერთად შემუშავდეს, დამტკიცდეს და ამოქმედდეს სანიტარიული დაცვის ზონების პროექტი და შესაბამისი რეგულაციები. სანიტარიული დაცვის ზონების პროექტით განისაზღვრება, ბუნებრივი სამკურნალო ფაქტორების დაცვისათვის საჭირო კონკრეტული ღონისძიებები, მათ შორის: სანიტარიული დაცვის ზონების საზღვრები და თითოეული ზონის ფარგლებში მყარდება რეჟიმი, გასატარებელი ღონისძიებები და შეზღუდვები.

ზღვის სანაპირო ზოლსა და კლიმატს, რომლებიც გამოიყენება სამკურნალო-გამაჯანსაღებელი საქმიანობისათვის, განსაკუთრებული სამკურნალო, პროფილაქტიკური და სარეაბილიტაციო ფუნქციები აქვს საკურორტო პარკისა და სხვა მწვანე ზონების მოწყობის შემთხვევაში. სდზ-ის ფარგლებში საკურორტო ბაღები/პარკები და კურორტის მიმდებარე ტყე-პარკები მაქსიმალურად უნდა გაშენდეს. გთხოვთ, წარმოდგენილ მასალებს დაურთეთ ინფორმაცია გათვალისწინებულია თუ არა ქ. ბათუმის განვითარების გენერალურ გეგმაში ქალაქის ცენტრალური ტერიტორიის განვითარების საკითხი და დადგენილია თუ არა სდზ და მათი რეჟიმები.

2. ინსოლაცია - ზოგადად ინსოლაციის ნორმირების მიზანს წარმაოდგენს მშენებარე ობიექტების მიერ, არსებული სახლების ინსოლაციაზე გავლენის განსაზღვრა (დასაშვები სართულიანობის, შენობების სივრცითი პარამეტრების დასადგენად, მათი ურთიერთგანლაგების და სწორი ქალაქგეგმარებითი გადაწყვეტის მისაღებად); ასევე, დასაპროექტებელ მოცულობით და ქალაქგეგმარებით ობიექტებში ნორმირებული სანიტარიულ-ჰიგიენური და კლიმატური პარამეტრების უზრუნველყოფა. წარმოდგენილ

მასალაში „55 სართულიანი სასტუმრო კომპლექსის მშენებლობასთან დაკავშირებით ინსოლაციის პროექტი“ არ არის მითითებული რომელი ნორმატიული დოკუმენტით მოხდა ინსოლაციისა და ბუნებრივი განათებულობის პირობების განხილვა და შესაბამისი დასკვნების მომზადება.

3. **ხელმისაწვდომობა საერთო სარგებლობის მწვანე ნარგავებთან და დასასვენებელ პარკებთან, ურბანული მწვანე სივრცეების (UGS) წვდომადობა** მწვანე ფართობების მნიშვნელობის გამო დაგეგმვისა და კვლევის უფრო მნიშვნელოვანი ასპექტი გახდა ზღვის სანაპირო ქალაქის მაცხოვრებელთა და დამსვენებლებისათვის. თუმცა მიხედავად იმისა, რომ UGS ხელმისაწვდომობა ურბანულ დაგეგმარებაში ადამიანის ჯანმრთელობისა და კეთილდღეებისთვის არის მნიშვნელოვანი ინდიკატორი, ქალაქების ფარგლებში რთული სოციალურ-ეკოლოგიური ურთიერთქმედების მხოლოდ ერთი-ერთი კომპონენტია. ქალაქის განაშენიანებულ ნაწილში არსებული საერთო სარგებლობის ღია გამწვანებული ტერიტორიების ფართობი უკიდურესად მცირეა. წარმოდგენილი მასალების შესაბამისად არ არის მითითებული დასაბუთება კ2 კოეფიციენტის[1] 12 -მდე გაზრდის დროს. ხოლო იქმნება ბუნდოვანება კ3 კოეფიციენტი[2] როგორ არის დაანგარიშებული. (ინფორმაცია წარმოდგენილია გვერდი 93-ზე, ცხრილი 3.2 განაშენიანების რეგულირების პარამეტრები და მათი ზღვრული მაჩვენებლების გადამეტების პირობები).

ატმოსფერული ჰაერის დაბინძურების და ქალაქში არსებული ეკოლოგიური მდგომარეობის გამო, მწვანე სივრცეების დაცვისათვის აუცილებელია ხსენებულ ტერიტორიებზე აკრძალულ იქნას სამშენებლო განვითარებები. ამავე დროს, ნებისმიერი თავისუფალი, მიმდებარე საქალაქო ღია სივრცის სამშენებლოდ ათვისების კონკრეტული წინადადება, განსაკუთრებული განხილვისა (მათ შორის საჯარო) და ექსპერტიზის საგანი უნდა გახდეს.

4. **ავტოტრანსპორტის მოძრაობის გადატვირთვა და საცობების წამოქმნა.** წარმოდგენილი ინფორმაციის გაანალიზების შემდეგ ირკვევა, რომ გეგმარებითი ერთეულის ირგვლივ მთავარი ქუჩები განკუთვნილია მსუბუქი ავტომობილებისა და საზოგადოებრივი ტრანსპორტის მოძრაობისათვის. სატვირთო ავტომობილების, მისაბმელიანი სატრანსპორტო საშუალებების მოძრაობა აკრძალულია. ქ. ბათუმის პირობებში მომიჯნავე ქუჩები ითვლება ინტენსიური მოძრაობის ქუჩებად, მათი სატრანსპორტო გამტარუნარიანობა გადამკვეთი ქუჩებისა და შუქნიშნების გათვალისწინებით პიკურ სიტუაციაში (ზაფხულის თვეებში) შეადგენს საშუალოდ 2000 ავტომობილს საათში, დღე-ღამეში საშუალოდ 30-35 ათას ავტომობილს. ქვეითად მოსიარულეთა ტროტუარები შედარებით დამაკმაყოფილებელ მდგომარეობაშია. სატრანსპორტო ნაკადების გადატვირთვის გამო ქ. ბათუმში და არსებული მიწის ნაკვეთის მიმდებარე ტერიტორიაზე წარმოიქმნება საცობები და იქმნება მოძრაობის შეფერხება. საცობები არა მხოლოდ ავტომობილების მოძრაობას უშლის ხელს, არამედ სასწრაფო სამედიცინო დახმარების, სამაშველო და სახაძრო ბრიგადების გამოძახების ადგილებში დროულად მისვლას. შესაბამისად სრულყოფილად არ არის წარმოდგენილი სათანადო ინფორმაცია სატრანსპორტო ნაკადების მართვის ოპტიმიზაციის, პარკირების შესახებ დეტალური ინფორმაცია და ავტოსადგომების მოწყობისა და მათი ლოკაციების შესახებ, რომელისაც უდიდესი როლი ენიჭება სასტუმროების ფუნქციონირების პროცესში.

5. **წარმოდგენილ პროექტს თან ერთვის ბათუმში ატმოსფერული ჰაერის დაბინძურების** სტაციონარული წყაროების გაზომვის შედეგები და არ არის მითითებული ეს მაჩვენებელი საშუალო სადღეღამისოა თუ მაქსიმალური ერთჯერადი. ნებისმიერ შემთხვევაში წარმოდგენილ შედეგების შესაბამისად, ატმოსფერული ჰაერი დაბინძურებულია მავნე ნივთიერებებით და საჭიროა გატარდეს გამაჯანსაღებელი ღონისძიებები რათა შემცირდეს ატმოსფერული ჰაერის დაბინძურება PM2,5-PM10, აზოტის დიოქსიდით, გოგირდის დიოქსიდით, ოზონით და ნახშირჟანგით. მაშინ როდესაც PM2,5 მაჩვენებელი[3], რომელიც არ უნდა აღემატებოდეს 0.15 მგ/მ^3 (საშუალო სადღეღამისო), 0,5 მგ/მ^3 (მაქსიმალური ერთჯერადი), წარმოდგენილ გაზომვების შედეგების შესაბამისად შეადგენს ყველაზე დაბალი მაჩვენებელი 5,46 მგ/მ^3, ხოლო მაღალი 19.21 მგ/მ^3 -ს. იწვევს ადამიანის ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუარესებას[4]. აზოტის დიოქსიდი, რომელიც საწვავის წვის შედეგად წარმოიქნება, მისი უმთავრესი წყაროა ავტომობილების გამონაბოლქვი. ასევე, მრეწველობის სექტორი და შინამეურნეობებში მოხმარებული საწვავი. იწვევს ადამიანის ჯანმრთელობაზე მნიშვნელოვან გავლენას[5]. შესაბამისად არ უნდა აღემატებოდეს 0.05 მგ/მ^3 (საშუალო სადღეღამისო), 0,5 მგ/მ^3 (მაქსიმალური ერთჯერადი), წარმოდგენილ გაზომვების შედეგების შესაბამისად შეადგენს ყველაზე დაბალი მაჩვენებელი 9.7 მგ/მ^3, ხოლო მაღალი 42.68 მგ/მ^3 -ს. ოზონი- არ უნდა აღემატებოდეს 0.03 მგ/მ^3 (საშუალო სადღეღამისო), 0,16 მგ/მ^3 (მაქსიმალური ერთჯერადი), წარმოდგენილ გაზომვების შედეგების შესაბამისად შეადგენს ყველაზე დაბალი მაჩვენებელი 14.11 მგ/მ^3, ხოლო მაღალი 59.27 მგ/მ^3 -ს. იწვევს ჯანმრთელობის სერიოზულ გართულებებს.[6] აღსანიშნავია, რომ ატმოსფერული ჰაერის ხარისხის შეფასება წარმოებს საქართველოს მთავრობის 2018 წლის 27 ივლისის N383 დადგენილების „ტექნიკური რეგლამენტი ატმოსფერული ჰაერის ხარისხის სტანდარტების დამტკიცების შესახებ“, სადაც დამაბინძურებლები განისაზღვრება მკგ/მ3-ში, მხოლოდ CO იზომება - მგ/მ3-ში. დამაბინძურებელთა ერთეულები წარმოდგენილ უნდა იქნეს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად სწორი ერთეულებით[7]. სატრანსპორტო ნაკადების გადატვირთვის გამო ქ. ბათუმში და არსებული მიწის ნაკვეთის მიმდებარე ტერიტორიაზე მოიმატებს მანქანების ნაკადები, წარმოიქმნება საცობები, რაც თავის მხრივ უფრო ინტენსიურად დააბინძურებს ატმოსფერულ ჰაერს. ავტოტრანსპორტის მიერ მოიმატებს მოხმარებული საწვავის რაოდენობა და მასთან დაკავშირებით გაიზრდება მავნე ნივთიერებების ატმოსფეროში გაფრქვევა.

6. **ბოლო პერიოდში წყალმოვარდნების, სტიქიური, ბუნებრივი და სხვა საგანგებო** ხასიათის მოვლენების გამო ქ. ბათუმში აღინიშნება დატბორვა, წვიმისა და საკანალიზაციო წყლების შერევა და წარმოიქმნება პერიოდულად ინფექციური დაავადებებისა და ეპიდაფეთქებების განვითარების საფრთხე. რამდენად უზრუნველყოფს ამ ეტაპზე არსებული ინფრასტრუქტურა და საკანალიზაციო სისტემა ჩამდინარე წყლების გატარებას და როგორი იქნება პროგნოზი სასტუმროს სრულად ამოქმედების შემდეგ? ასევე არ არის მითითებული კლიმატის ცვლილების სავარაუდო ზეგავლენის შესახებ ინფორმაცია გრძელვადიან პერიოდში და სათანადო შეფასებები, რაც უკვე სახეზეა კლიმატის ცვლილების გავლენისა და გახშირებული სტიქიური მოვლენების სახით.

7. არ ერთვის წარმოდგენილ მასალას ინფორმაცია ჰიდროგეოლოგიური კვლევისა და საინჟინრო მდგრადობის შესახებ.

8. საქართველოს კანონის „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ მუხლი 23. სტრატეგიული დოკუმენტის სკრინინგი -შესაბამისად არ არის სრულყოფილად წარმოდგენილი ინფორმაცია სტრატეგიული

დოკუმენტის განხორციელების არეალში ადამიანის ჯანმრთელობაზე შესაძლო ზემოქმედების ხასიათის თაობაზე.

დასკვნა:
წარმოდგენილი მასალა არ შეესაბამება „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსი“ საქართველოს კანონის მოთხოვნებს და არ იძლევა საშუალებას მიღებულ იქნეს გადაწყვეტილება სტრატეგიული გარემოსდაცვითი შეფასების სკრინინგის შესახებ. უპირველეს ყოვლისა უნდა დადგინდეს შავი ზღვის ბუნებრივი სამკურნალო ფაქტორების დაცვისათვის საჭირო კონკრეტული ღონისძიებები, მათ შორის: სანიტარიული დაცვის ზონების საზღვრები და თითოეული ზონის ფარგლებში დამყარდეს რეჟიმი, გასატარებელი ღონისძიებები და შეზღუდვები.

[1] **განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტი (კ-2)** – შენობა-ნაგებობის მიწისპირა და მიწისზედა სართულების იატაკის ზედაპირების ჯამური ფართობის შეფარდება მიწის ნაკვეთის ფართობთან, მეათედის სიზუსტით (მაქსიმალური მაჩვენებელი).
[2] **გამწვანების კოეფიციენტი (კ-3)** – მიწის ნაკვეთის თავისუფალი გრუნტის (გამწვანების ფართობის ან/და წყალგამტარი) ზედაპირის ფართობის შეფარდება მიწის ნაკვეთის საერთო ფართობთან, მეათედის სიზუსტით (მინიმალური მაჩვენებელი);
[3] PM2,5 მაჩვენებელ მიიჩნევა ყველაზე საშიშად ჯანმრთელობისათვის, რადგან შესწევთ უნარი შეაღწიონ ბრონქიოლების პერიფერიულ უბნებში და ხელი შეუშალონ ჰაერცვლას ფილტვებს შიგნით.
[4] თვალის გაღიზიანება, ასთმა, ბრონქიტი, ფილტვის დაზიანება, სიმსივნე, მძიმე ლითონებით მოწამლვა, უარყოფით ზემოქმედება გულსისხლძარღვთა სისტემაზე.
[5] რესპირატორული ინფექციებისადმი მაღალი მგრძნობელობა, სასუნთქი სისტემის გაღიზიანება და რესპირატორული სიმპტომები (მაგ. ხველა, ტკივილი გულმკერდის არეში, სუნთქვის გაძნელება)
[6] თვალის და ყელის გაღიზიანება, ხველა, სასუნთქი გზების პრობლემები, ასთმა, ფილტვის დაზიანება
[7] საქართველოს მთავრობის 2018 წლის 27 ივლისის N383 დადგენილება „ტექნიკური რეგლამენტი ატმოსფერული ჰაერის ხარისხის სტანდარტების დამტკიცების შესახებ“
https://matsne.gov.ge/ka/document/view/4277611?publication=0

პატივისცემით,

გენერალური დირექტორი

ხელმოწერილია/
მტკიცდასმულია
ელექტრონულად

ამირან გამყრელიძე